

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
 შპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
 შოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 5. 1883—1897 15 მარტი

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თთვით 3 მან.	12 თთვით 5 მან.
6 — 2 —	6 — 3 —


ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
 Въ Кіевѣ, въ редакцію „Міжземси“ и „Пастыр“.

შველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებოან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთავან ხელ-მოწერილნი.
 სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თთვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს
 სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ჩვენი სამწუხარო ბულ-გრილოზა და დაუღვე-ნალოზა.

როდესაც უურბდლებით გადათვალთვრებთ სასულიერო ჟურნალ-გაზეთებს და დააგვირდებით ესლანდელი დროის ვითარებას სხვაგან და ჩვენში, ცხადათ შენიშნავთ ჩვენ გულ-გრილობას და დაუღვენელობას ეველა იმ საქმეებში, რომლებშიაც სხვაგან ასე გულ მხურვალეობას,

გამჭრიანობას და მუეითობას იჩენენ. მაგალითებრ, ერთ გაზეთში ვკითხულობთ, რომ ამერიკაში მართლ-მადიდებელთა რიცხვი თანდა-თან მატულობსო, ორმა შესანიშნავმა მდიდარმა ჰირმა ადგილები შესწირა იქაურ მღვდელ-მთავარსო მართლ-მადიდებელი ეკკლესიების ასამენებლადო. მეორე ჟურნალში ვკითხულობთ, რომ სკოლების და სხვა-და-სხვა მისნიების სასარგებლოდ ამდენი და ამდენი ფულები



შესწირესო, სხვა ქერნალ-კახეთებიდან ვტო-
ბილობთ, რომ ამა და ამ მძობამ ამა და ამ
ეზარქიაში ესა და ეს კეთილი საქმე მოიმოქ-
მედაო. ერთი სიტყვით ეოველი მხრიდან სა-
სიამოვნო ამბები გვესმის, ვხედავთ, რომ ეველ-
გან წარმატების გზაზე მიისწრაფიან და ნაცვ-
ლად სიბნელისა უნდათ მოჭფინონ განათლება.
ეოველი ნასწავლი და უსწავლეელი, მღვდელი
და ერი, თავადი და გლეხი, დიდი და ჰატარბ,
შემღებულნი და შეუძლებელი ებრძვის ცხოვ-
რების უკუღმა ბრუნვას და ეველა წარმატები-
საკენ მიეძურება. ჩვენში რაღას ვხედავთ? არ
იფიქროთ, რომ ჩვენშიაც არ შრომობდენ. კა-
ცის ბუნება ისეთია, რომ უმოძრაოთ ვერ გა-
ჩერდება, მაგრამ ჩვენი შრომა, ჩვენი გამჭრია-
ხობა სულ ჩვენ ჰირად სასაქმეებზე არის მიქ-
ცეული და არა საზოგადო საწაღმართო საქ-
მეებზე. ან არა და ვხივართ გულზე ხელ
დაკრეფილნი, არა რაისა გამკეთებელნი და
მოუთმენელად მოველით თვისა და წლის
დასრულებას და ახალ წელს, ვითომც შემდეგ
თვეს და ახალ წელიწადს შეეძლოს ჩვენი გა-
მოფხიზლება და გარდაქმნა..

მართალია, ხშირად ისე არა წვიმს, რო-
გორც ქუსს; შეიძლება ეველა ის, რასაც ბეჭ-
დავენ, მართალი არ იეოს, ეველაფერი ისე არ
სრულდებოდეს, როგორც იწერებიან, მაგრამ
ამ ბევრ სასიამოვნო ამბებიდან რამდენიმეც
თუ სრულდება, ისიც კარგია. ამისთვისაც დი-
დი მადლობა ეთქმის მომქმედ ჰირთა. ჩვენი
ვალია, რამდენათაც შეკვიძლია, მივბამოთ მა-
ინც სხვებს. ვიშრომით, გამოვიჩინოთ გამ-
ჭრიახობა, მუყათობა და ერთმანეთის თანა-
გრძნობა. მოვსპოთ შურიანობა, მედიდურობა,

მოვეასთა და მოძმეთა საქმის ხელის შემლა
და დაბრკოლება.

უმეტესი უურადლება გვაქვს მიქცეული
ჩვენს ნივთიერ კეთილ-დღეობაზე; გვინდა
ჩვენი სხეული შევამკოთ ეოველის მხრით, ვცდი-
ლობთ, რომ არა მოვაკლოთ რა მას და გადა-
ჭარბებით ვასაზრდოებთ, მაგრამ ამავე დროს
არავითარ უურადლებას აღარ ვაქცევთ ჩვენი
კონების მოთხოვნილებას და მის განვითარებას.
სრულიად დაიძებულთ ჩვენს «დინლომებსე»
საჭიროდ აღარ მიგვანჩია ნიადაგ ჩვენი გო-
ნების განვითარების შესახებ ზრუნვა, გვაფიწედ-
ბა, რომ ვინც ნიადაგ არ ავარჯიშებს კონებას,
მაღე გამოერუდება. გვაფიწედება, რომ უმოძ-
რაოთ დაგდებულა აშრილებული რკინაც კი
ჯანგისგან იფარება და შეიჭმება დროთა გან-
მამაველობაში..

გადავაულოთ თვალი რუსეთის ამ ჩვენ
განაჰირა ქვეყანას. ერთ დრომდის იმას ვჩიო-
დით, რომ სემინარიაში კურს დამთავრებული მღვ-
დლები არა გვეყვანანო. დღეს, მადლობა ღმერთს,
ეს აღარ ითქმის, არა თუ არა გვეყვანან, ბევრი
უადგილოთაც დადის. სემინარიელებს კარდა
ჩვენს სამღვდელოებას კარგა ბლომათ შეემატენ
აკადემიაში კურს დამთავრებულნი ჰირნიც. მაგ-
რამ, სამწუნაროდ, დიდი შესამჩნევი არა კეთ-
დება რა ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენი ხალხი
უფრო დიდ გულგრილობას იჩენს სარწმუნო-
ებისა და საეკლესიო საქმეებში. განსაკუთრე-
ბით ამ არა სასიამოვნო მოვლენას ვამჩნევთ
ეკრეთ წოდებულ «ინტელიგენციაში», ეოველ-
გან დიდ გამჭრიახობას და ცოდნას იჩენს
სარწმუნოებისა და საეკლესიო საქმეებში მო-
წინავე საზოგადოება—ინტელიგენცია. მაგრამ



ჩვენში კი ეს მოწინავე საზოგადოება ზირიქით დიდ უვიცობას იჩენს ამ მხრით. არ იფიქროთ, რომ ეს უოველთვის ესე უოფილიეოს. ძველ დროში ჩვენი მოწინავე შეგნებული საზოგადოება ბევრად წინ იდგა. ამას ამტკიცებენ ძრავალი ეპისტოლენი ურთიერთ შორის მიწერილნი სარწმუნოების და საეკლესიო საქმეების შესახებ. დღეს კი სარწმუნოების და საეკლესიო საქმეები დაფიწებულა ჩვენი მოწინავე საზოგადოებისაგან. მათის აზრით ამაგების ცოდნა თითქო მარტო სამღვდელოების საქმე იეოს და არა მთელი საზოგადოებისა. ამ სამწუსარო მოვლენის მიხედვად არ შეგვიძლია მარტო ეპარქიის სამღვდელოება დავსახოთ. ამ საქმეში, ცოტად თუ ბევრად, ბრალი ედება ჩვენს დროში საღმრთო სჯულის სწავლების საქმეს ჩვენს საერო საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენ არა ერთჯერ მიგვიტოთებია ამ ნაკლულეგნებაზე, და დღეს მადლობა დემეროს, მართებლობამ ჯეროვანი ურბადლება მიაქცია ამ დიდ ნაკლს და ეველგან ითხოვენ, რომ სამღრთო რჯულის სწავლებას ფიცხელი და ჯეროვანი ურბადლება მიექცეს საერო სასწავლებლებში.

რუსეთის სამღვდელოება უოველივე დონეს ხმარობს, რომ ხალხში გაავრცელოს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი სწავლა-მეცნიერება. ამ მიზნის მისაღწევად სამღვდელოება ხშირად მართავს სამწუსაროსთან სიტყვა-საუბრების როგორც ღვთის მსახურების დროს, ისე მათ კარებზე. ჩვენში რას ვშეებით სამღვდელოება? ამ მხრით ბევრს არაფერს, სამწუსაროდ. არც არაფერი ჩვენი საკუთარი მოგვეპოება, რომ ხალხს მივაწოდოთ, და არც მხა მხარე-

ულით ვსარგებლობთ. დამხადებულნი საუბრების წაკითხვაც კი გვესარება. სწორედ დროს დაუფიქრდეთ ჩვენს თავს, რომ სასტიკ განსაცდელს და ღვთის მსჯავრს ავმორდეთ ჩვენი ძმავე და დიდად ზასუხის საგებელ მოვალეობის გუკრილად და დაუდევნელად აღსრულებისათვის.

დეკ. დ. ლაბაშიძე



ადამიანის ჭკმარტი ბედნიერება მხოლოდ სარწმუნოებაშია; ჭ თუ იგი ამას ვერ ჰოულობს სარწმუნოებაში, რა არის ამის მიხედვით?

დასასრული *).

გვეტყვიან, აი ჩვენ გვაქვს ქრისტეს სარწმუნოება, გვიყვარს უფალი, ვლოცულობთ და თაყვანს ვსცემთ მას, მაგრამ მაინც არ ვართ ბედნიერი, და ხშირად ვხდებით მრავალ გვარ სულიერ ტანჯვათა მსხვერპლად. ეს მართალია; მაგრამ ამაში ჩვენვე ვართ დამნაშავე. და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ჩვენ ნამდვილი შეხედულება არა გვაქვს ჩვენი სარწმუნოების მოთხოვნილებათა ზედა, სახარების მცნებებზე, რომელიც ჩვენ გვაქვს, და აქედამ წარმოდგება ის უსწორო განწყობილება, რომელიც ჩვენ გვაქვს ღმერთთან. წარმოვიდგინოთ მოსამსახურე, პატიოსნად და წესიერად აღმსრულებელი ყოველივე იმისა, რასაც მას მისი ბატონი უბრძანებს. მან იცის, რო მისი ვაკეთებული საქმე თვით იმას კი არ მოუტანს სარგებლობას და ბედნიერებას, არამედ მისს ბატონს; მაგრამ მან ისიც იცის, რომ ის დამოკიდებულია თვის ბატონზე, რომ მისი არსებობა ამ უკანასკნელის ხელშია; ამიტომაც სისწორით ასრულებას მისდამი მინდობილ საქმისას ის სთვლის თვის აუცილებელ მოვალეობად, და მხოლოდ მოვალეობად. და ამისთანა შეხედულებასთან ბატონის მიერ ნაჩვენებ საქმეზე, თუმცა ის მას სინილისიერად ას-

რულებს, მაინც იგი აკეთებს მას იძულებული და არამც თუ არ პოულობს მასში სინარტულსა და ნუგეშსა, არამედ პირიქით ის შეადგენს მის განძინებულების და იღუმალი წუხილ-ტანჯვის მიზეზსა. ხოლო როდესაც ის აკეთებს იმისთანა საქმეს, რომელიც პირდაპირ მისთვისავე სასარგებლოა, და მაშასადამე, როდესაც იგი უყურებს თვისს საქმეს, არა როგორც მოვალეობას, არამედ როგორც პირად სიკეთეს, სარგებლობას, მაშინ ის აკეთებს მას გულიანად, ხალისიანად და მასში პოულობს მშვიდობას და მხიარულებას, და ის შეადგენს მისთვის ბედნიერებას. ამ მაგალითიდან ცხადად ჩანს, რომ ის, რასაც ჩვენ ვრაცხთ მხოლოდ მოვალეობად, არ გვანძიებს ჩვენ კმაყოფილებას და ბედნიერებას; ხოლო ის, რასაც საკუთარ სიკეთეთ ვთვლით, ის შეადგენს წყაროს ჩვენის მხიარულებისა და მოსვენებისას. ახლა დავეკითხოთ თავისს თავს, თუ როგორ უყურებთ ჩვენს სარწმუნოებას და ზნეობით კანონსა, როგორც მოვალეობას, თუ როგორც ჩვენს სიკეთეს, ბედნიერებას, -და მაშინ მივხედებით, რისთვისაც ვერ ვპოულობთ ბედნიერებას ქრისტეს შედგომაში? ჩვენ ვლოცულობთ ღმერთსა, აღვავლენთ მისდამი ქებასა, მადლობასა და თხოვნა-ვედრებასა. რისთვის? ეს ჩვენი მოვალეობაა; ამას თხოულობს თვით შემომქმედი და მზრუნველი ქვეყნისა, -ვამბობთ ჩვენ. ვიტყვი, რომ ჩვენ თავი უნდა დავიჭიროთ ცოდვისგან, ძალა უნდა დავატანოთ თვისს თავს და უნდა აღმოვფხვრათ ჩვენის სულიდამ ბოროტნი ვნებანი. რისთვის? ესეც ჩვენი მოვალეობაა; ამას გვიბრძანებს უზენაესი მსაჯული, -ვამბობთ ჩვენ. საჭიროდ ვრაცხთ სახარებისებრივ მოთხოვნილებათა განხორციელებასა და გამოჩენასა თვის მოქმედებაში სიყვარულისა მოყვასადმი და სხვათა სათნოებათა. რისთვის? ესეც ჩვენი მოვალეობაა; ეს ესამოვნება ღმერთს, სასყიდელ მომგებელსა, -ვამბობთ ჩვენ. და მუდამ ვიმეორებთ: ეს ჩვენი მოვალეობაა, ეს ჩვენი დანიშნულებაა, ასე დაგვიდგინა უფალმა, ეს ნებავეს ღმერთსა, და თითქმის არასოდეს არ ვუმატებთ ამ სიტყვებსა: ესევე არის ჩვენი უმაღლესი სიკეთე, ეს ჩვენთვისვე სასარგებლოა, სასარგებლოა არა მარტო მომავალ ცხოვრებაში, არამედ აწმყოსაშიაც. ხოლო როცა ჩვენი ღვთის მსახურებას ვუყურებთ, როგორც მოვალეობას, მაშინ ჩვენ მას ვრაცხთ რაღაც გარეგნად ჩვენი ბუნებისთვის, საჭიროდ მხოლოდ ღვთისთვის, მის

ნების დასაკმაყოფილებლად. ამის გამო ჩვენი განწყობილება ღვთისადმი არ არის გამსჭვალულო; გულითადობით, მხურვალე გულმოდგინებით, -და, აქედამ, გასაკვირელი არ არის, რომ ჩვენ მასში ვერ ვპოულობთ ჯეროვან შინაგან ბედნიერებას. მაშინ კი როდესაც სარწმუნოება არ არის მხოლოდ მოვალეობა. განა ღმერთი მისთვის ვალდებულ გვყოფს თაყვანი ვსცეთ მას და ვიაროთ მის მიერ ნაჩვენებ გზით, რომ ჩვენ მას ცხად უყოფდეთ მადლობის გადახდასა მისგან მიღებულ სიკეთეთათვის და ამით მოვგვრიდეთ მას კმაყოფილებასა? განა ღმერთი მხოლოდ მისთვის გვხდის მოვალედ ვაქოთ, ვადიდოთ ის ჩვენის სიტყვით და ცხოვრებით, რომ მას ეს სურს? არა! თავმოყვარეობა და დიდების მოყვარეობა წარმოუდგენელია იმაში, ვინც განუსაზღვრელი სიწმინდე და სრულყოფათა სავსებაა. უუსახიერესი უფალი მისთვის გვიწვევს ჩვენ, რომ მასთან კავშირი შეადგენს ჩვენივე ნამდვილ კეთილ დღეობას. მას ნებავეს, რომ ჩვენ ვცხოვრებდეთ სინიღისისა და სახარებისამებრ მისთვის, რომ ამით შეიქმნება ჩვენივე ბედნიერება. ის მისთვის თხოულობს ჩვენგან ქრისტესადმი შედგომასა, რომ ის ხედავს, რომ ჩვენ ჩვენის სიბრძნისა და გაუმჭვრეტელობისა გამო ვერ ვამჩნევთ ბედნიერებას იქ, სადაც იგი ნამდვილად სუფევს, და ვეძებთ მას სხვაგან, და ამით ვცდებით, და გზა გვებნევა. ხოლო მას თვის უზომო სიყვარულისა გამო არ სურს ჩვენი ტანჯვა, დაღუპვა, და ამისთვის დაჟინებით და გარდაკვეთით გვაიძულებს, რათა ვიღვტოდეთ ქრისტესადმი, ბედნიერების ერთად ერთ მომცემისადმი. დიად, ჩვენი წმინდა სარწმუნოება არა მარტო მოვალეობაა, არამედ უპირველესად ჩვენი სიკეთე, ბედნიერება; და მერე როგორი? სარწმუნოება გვეუბნება, რომ ჩვენ გვიყვარდეს ზეციერი მამა, ვუახლოვდებოდეთ მას, ვიმყოფებოდეთ მასთან მარადის, -და რა არის ჩვენთვის ამ სიკეთეზე უმეტესი, უაღრესი? როდის გრნობს ადამიანი თვისს თავს ბედნიერად? ხომ მაშინ, როდესაც იგი შეიყვარებს ვისმეს და მისს გულს შეუერთებს თვისს გულს მქიდრო კავშირითა? და ის განა მით უფრო ბედნიერი არ არის, რაც უმაღლესი და უსრულესია ის პირი, რომელსაც იგი უკავშირდება? ხოლო რა და ანუ ვინ არის ღმერთზე უდიდესი და უსრულესი? ვისაც თვისი გული მიქცეული აქვს ღვთისადმი, მასზე გადმოდის ციმციმით ფართო ტალღები ღვთა-



ებრივი ცხოვრებისა, ის აღივსება სულიერ სიტკბოებითა და კეთილ სუნნელებითა, ის თბება ღვთისგან მოფენილ ცხოველ და სიხარულ-მოფულ სხივებითა. სარწმუნოება გვასწავლის ჩვენ დაუმორჩილოთ ჩვენი ნება უფლის ნებასა,-და ესეც დიდი სიკეთეა ჩვენთვის. ღმერთმა შეგვქმნა ისე, როგორც მას ნებავდა, ჩვენ ბუნებას მისცა ისეთი კანონები, რომლებიც მას სურდა. და ამიტომაც, ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია დავსტკბეთ ჩვენის არსებობითა, როდესაც ვიმოქმედებთ თანახმად ჩვენის ბუნებიდან თანდაყოლილ კანონებისა, ანუ ესე იგი, როცა ჩვენ ვასრულებთ ღვთის ნებასა, ცხადყოფილსა ჩვენ შინაგან კანონებში. ახლა, როცა ჩვენ დანიშნულებას გვერდს ვუვლით და ვიქცევით წინააღმდეგ ჩვენის ბუნების კანონიერ მოთხოვნილებათა და აქედამ, წინააღმდეგ უზენაესის ნებისა,-რის გამო მრავალ გვარ მწუხარებას და გაჭირვებას ვითმენთ, უკეთესი არ არის ვიცხოვროთ თანახმად ჩვენის სულიერი კანონებისა, ანუ ესე იგი შეუთანახმოთ ჩვენი ნება უფლის ნებასა? სარწმუნოება ჩაგვაგონებს, რომ ჩვენ ვებრძოლოთ ბოროტებასა, ჩვენ სულში დასადგურებულსა, უკუყაროთ ბიწიერი აზრები, გრძობები და სურვილები, და რა არის ჩვენთვის ამაზე უკეთესი? განა სასარგებლო არ იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენ თავისუფალი ვიყოთ იმისგან, რაც აზნელებს და ხრწნის ჩვენს სულსა, რასაც შეაქვს ჩვენ ცხოვრებაში უთანხმოება და ორგულობა, რაც შეადგენს მიზეზს ჩვენ ტანჯვა-ვაებისას? სარწმუნოება გვაგულიანებს და აღგვსძრავს, რომ ჩვენ ზნეობით გავუნჯობედეთ, სრულ ვიყვნეთ. რა იქნება ჩვენთვის ამაზე უფრო სასარგებლო? განა სასურველი არ არის, რომ გავმიდრდეთ კეთილ თვისებებითა და თვის ღირსებათა წარმოდგენაზე ვგრძობდეთ სიხარულსა და კმაყოფილებასა?

კიდევ მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ ჩვენ სარწმუნოებაში, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, რელიგიაში, ვერ ვპოულობთ ბედნიერებას, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ უგულვებელს ვყოფთ უუსაჭიროებს და უმთავრესს რელიგიაში-კეთილ მოქმედებას, რომ ჩვენ ნათლოვან იდეალების წრეს მხოლოდ გონებით, წარმოდგენაში ვჭვრეტთ, და არა ვიმყოფებით შიგ ნამდვილად, რომ ჩვენ სახარებისებრივ სათნოებათა მხოლოდ შორიდგან ვუტყვრით, ვჯერდებით მათდამი სიყვარულითა და ღტოლვი-

ლებითა და არ ვისისხლობორცებთ მათ. ჩვენ სწორედ ვგაფართ იმ პირებს, რომლებიც შორიდგან ხედვენ ცეცხლსა, იციან; რომ ეს ცეცხლი თვისს გარშემოსინათლეს და სითბოს ფენს, და იტყვიან, რა კარგია ამ ცეცხლთან ახლოს ყოფნაო,-და თვითონ კი ვერ სარგებლობენ მის სინათლითა, ვერ გრძობენ მისს სითბოსა და ყინვაში და წყვდიადში იმყოფებიან. ჩვენ სარწმუნოება და მისი მოთხოვნილებანი მხოლოდ გონების და გულის სფერაში შეგვყავს და ნების სფერაში კი არ შეგვყავს. ჩვენ უნდა განვიძარცვოთ ძველი სამოსელი, მოვიკვეთოთ ცოდვითი მიღრეკილებანი, დავტოვოთ ძველი ჩვეულებანი, უარყოთ ბოროტი სურვილები, უკუვაგდოთ ბიწიერი აზრები და გრძობები, და ამით ჩვენ ღმერთს ვაამებთ, იგი ჩვენ მოწყალების თვალთ გადმოგვხედავს და ჩვენ განვთავისუფლებით სულიერი ტანჯვისა და შფოთისგან, ვამბობთ ჩვენ; და ამავე დროს კი არ ვმაცადინობთ, რომ ამა და იმ შემთხვევაში ვსძლიოთ ბოროტება, უკუვაქციოთ ბოროტი სურვილები, და ისევე ძველ შეთვისებულ ბოროტ თვისებებთან ვრჩებით. ჩვენ უნდა შევიმოხსნეთ ქრისტესა, ავასრულოთ მისი მცნებანი, მუდამ, განუწყვეტილად და შეურყეველად ვიაროთ სახარების გზით, და ამით ჩვენ უფალს მტკიცედ დაუკავშირდებით, და იგი თვისს უხვ წყალობასა არასოდეს არ მოგვაკლებს,-ვიტყვით ჩვენ ხოლმე; და ამავე დროს კი ჩვენ თავს ძალას არ ვატანთ შევითვისოთ უმაღლესი ქრისტიანული სული. ვვედრებით ღმერთსა, რათამცა იგი შეგვეწიოს, გადმოგვივლინოს თვისი მადლი, შეგვაძლებინოს ბოროტების დათრგუნვა და კეთილის ქმნა, და თვით კი არ ვმოქმედებთ, არ მოგვყავს მოძრაობაში ნება, არ ვებრძვით ცოდვასა. ვაძლევთ სიტყვას ჩვენს თავს და ღმერთსა დავდგეთ ჭეშმარიტ და კეთილ გზაზე,-და ჩვენ სიტყვას მეორე წამშივე ვარღვევთ. ამნაირად ჩვენ მხოლოდ ვაღვიარებთ საჭიროებას და ჭაღლებულებას ქრისტიანულად ცხოვრებისას, და ეს ცხადი ჭეშმარიტება სისრულეში კი არ მოგვყავს. ამიტომ გასაკვირელი არ არის, რომ ჩვენ ამისთანა საქციელთან ვერ ვპოულობთ სარწმუნოებაში ბედნიერებასა, რომ უფალი არ გვიახლოებს, ვერ ვგრძობთ მისს ღვთაებრივ სიტკბოებასა და ვერ ვისაკუთრებთ შინაგან კმაყოფილებასა და მხიარულებასა. აკი გვასწავლის თვით მაცხოვარი, რომ აუცილებელ პირობას ღმერთთან დაახლოებისას და

ქეშმარიტ ბედნიერების მოპოებისას შეადგენს კეთილი მოქმედება. ნების გაწვართნა და სათნოებაში განმტკიცება, სულის განუკეთესობა, ზნეობრივი განახლება.

ამ გვარად, ზემონათქვამიდან სჩანს, რომ სარწმუნოება მხოლოდ მაშინ არის მაცხოვრებელი, მომნიჭებელი სულის მშვიდობისა და სიხარულისა, როცა მას აღამიანი უყურებს, როგორც თვის ბუნების კანონს, თვისს უტყუარ სიკეთეს, თვისს ნამდვილ ბედნიერებას, და როცა იგი ცხოველია, განხორციელებულია კაცის ცხოვრებაში.

კ. კაჭახიძე.

საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების განუოფილების კრება ქუთაისში.


ამ უკანასკნელ დროს საიმპერატორო სასოფლო მეურნეობის საზოგადოების განუოფილებას ქუთაისში ხშირად ჰქონდა კრება სხვა და სხვა კითხვათა გამო. ამ კრებებზე ბ. გუბერნატორი ესწრება ხოლმე და იღებს მხურვალე მონაწილეობას. ოთხს მარტს ბ. გუბერნატორის თავსმჯდომარეობით ამ განუოფილებას ჰქონდა კრება. მოგვყავს აქვე კრების მოქმედების ამბავი «ივერიიდან», რომელი ამბავიც სწორეთ მართალი აწერილობაა კრების სხდომისა:

აქ წაიკითხეს ბ-ნ გუბერნატორის წარსულის წლის მოხსენებიდან ის ადგილი, რომელიც შეეხება ქუთაისის თავად-აზნაურობის ეკონომიურად დაქვეითებას და იმ სამუალებათა, რომელთა შემწეობით შეიძლება იგი გაუმჯობესდეს. ეს მოხსენება პასუხია სამინისტროს იმ კითხვისა, თუ რა სამუალებით შეიძლება დაცემული ეკონომიური და გონებრივი მდგომარეობა ქუთაისის თავად-აზნაურობისა ადღგეს და გაუმჯობესდესო. ვიდრე გუბერნატორის მოხსენების კითხვას შეუდგებოდნენ, წაიკითხულ იქმნა ბ-ნ ქუთაისის გუბერნიის მარშლის მოხსენება, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ზემოხსენებულ საკანთან და რომელიც მას წარუდგენია სახელმწიფო ქო-

ნებათა მინისტრისათვის ამ ორის წლის წინად. ამ მოხსენებაში მშვენივრად არის დასურთებული საზოგადოდ ჩვენის ქვეყნის მდგომარეობის ეკონომიური მდგომარეობა და კერძოდ თავად-აზნაურობისა. მოხსენებულისა ის გარემოებაც, რომ ქუთაისის გუბერნია, მოკლებული სოფლობას (земство), იმყოფება იმისთანა მდგომარეობაში, რომ არ შეუძლიან თავისს თავს თვითონ უპატრონოს, და იძულებულია შემწეობისათვის მთავრობას მიჰპართოსო. 710,000 მანეთიდან (земскія суммы), რომელიც იკრიბება ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთაგან, მხოლოდ ნახევარი იხარჯება ადგილობრივის საჭიროებისათვის, დანარჩენი სხვა გუბერნიების საჭიროებას ჰხმარდება. სოფლობა რომ არსებობდეს, ეს ფული აქვე დატრიალდებოდა ჩვენის მრავალ გვარის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

მაშალი მოხსენებას ათავებს თხოვნით, რომ ბ-ნ მინისტრმა გვიბოძოს სამუალება, თითოეულს მაზრაში თითო დასაწყისი სამეურნეო სასწავლებელი დავაარსოთ და ერთი სამუალო — ქ. ქუთაისში.

ბ-ნ გუბერნატორის მოხსენებიდანაც ცხადადა სჩანს უნუგემო მდგომარეობა თავად-აზნაურობისა, რომლის რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში შეადგენს 52,000 სულს. ადგილ-მამული ამ წოდებისა არის სივრცით 815,000 დესეტინა; აქედგან ერთი მესამედი ეკუთვნის ცხრა შეძლებულ მემამულეს, დანარჩენი რიცხვი სულ მცირედის მამულის პატრონებისაა და ბევრი სრულიად უმამულოდაც არის დარჩენილი. თავად-აზნაურობამ გონივრულად ვერ მოიხმარა ის ფული, რომელიც მიეცა უჩების განთავისუფლების შემდეგაო: ეს ფული არ მოხმარდა მამულის გაუმჯობესებას. ვერც საადგილ-მამულო ბანკმა აღმოუჩინა ამ წოდებას სასურველი შემწეობა და ამ გვარად ენლა თავად-აზნაურობა მეტისმეტად გაჭირვებულს მდგომარეობაში იმყოფებოდა. გლეხობამ უკანასკნელისათვის წლის განავლობაში, 1885 — 1895 წლამდის, შეუძენია თავად-აზნაურობისაგან 15,790 დესეტინა მამული თავად-აზნაურობას-გი ამავე დროს განმავლობაში 37,000 დესეტინა დაუგირავებია. მოხსენებულის



ქვეყნული
წიგნების
კავშირის
სამსახური

ახალი ამბები და შენიშვნები

ის გარემოებას, რომ თავად აზნაურობა მისჩერებია უმთავრესად სიმინდის თესვა-მოყვანას და ამის ვაჭრობას. სიმინდს-გი ახლა გასავალი აღარ აქვს, რადგან ბაზარში ცილობას ვერ უწევს სხვა ქვეყნის სიმინდსა. ამ გვრად, ეს სახსარიც ცხოვრებისა თანდათან ხელიდან ესვობაო. გუბერნატორის აზრით, საჭიროა მთავრობის ურთაღება მიექცეს თავად-აზნაურობას იმ მხრივ, რომ იგი არ მოსცილდეს ნადავს და არ შეიქმნეს ბოგანო წოდებად. და რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა გავრცელდეს ამ წოდებაში პროფესიონალური და სამეურნეო სასწავლებლები, სადაც მოზარდ თაობას ექნება საშუალება, შეიძინოს ის დარგი ცოდნისა, რომელსაც ადვილად გამოიყენებს ცხოვრებაში. მაგალითად, სადაც ადგილის თვისება ხელს უწყობს მკვრივრებლებს ვაზის მოშენებისა და ღვინის კეთების. თვია, იქ დაარსდეს მევენახეობისა და მეღვინეობის სასწავლებელი; სადაც აბრეშუმი მოდის, იქ მეაბრეშუმეთა სასწავლებელი; სადაც ნიადაგი ბოსტნეულობისათვის გამოსადეგარია, იქ მებოსტნეთა სასწავლებელი და სხ. ფოთსა და ბათუმში საჭიროა სკოპერცია და საზღვაოსნო სასწავლებელთა დაარსება.

შემდეგ ბ-ნმა გუბერნატორმა სთხოვა კრებას, რომ თუმცა მე ჩემი მოხსენება უკვე გავკზავნი, სადაც ჯერ არს, მაგრამ თუ კრება ჰქონებას საჭიროდ, კიდევ დაუმატოს რამე ამ მოხსენებას, ამოირჩიეთ კომისია, ამან შეავსოს ეს ნაკლი და ამ შევსებას მე დამატებასავით გავკზავნი სამინისტროში. კრებამ ამ საგნისათვის ამოირჩია კომისიის წევრებად მარშლის თავსმჯდომარეობით: ა-ნნი გ. ქდანოვიჩი, თ. ვ. თუმანიშვილი, ს. დოდობერიძე, სტ. ხოჯაევი, თ. ვ. წულეიკიძე და სამეურნეო სკოლის მასწავლებელი მკურნალი.

ამ სხდომაზედვე აზ. შარაძენიძემ სთხოვა კრებას, რომ იმის სოფელში ტობანიერს, გავგზავნათ მცოდნე აგრონომი ახლის სისტემის გუთნით, რომ გაესინჯა ადგილობრივი ნიადაგი და ეჩვენებინა ხალხისათვის, რა ნაირად იხმარება ეს გუთანი. კრებამ ეს თხოვნა შეიწყნარა. („ივერ.“)

„ივერია“-ში ვკითხულობთ შემდეგ ამბავს: „აქამდის ამიერ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთ მხოლოდ ორი მღვდელი ჰყავდათ, რომლებიც, რასაკვირველია, ვერ ასწრობდნენ ურიცხვ მოსამსახურეთა სულიერ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. რამდენიმე ხანია, რაც ამ გზის მღვდელმა იროდიონ ნანაბოგმა თხოვა ცალკე მაღალ ყოვლად უსამღვდლოეს არქიელს და ცალკე კიდევ რკინის გზის მმართველობას, გაეყოთ მთელი გზა რამდენსამე სამრევლოდ და სამი მღვდელიც სხვა დაენიშნათ. ეხლა ეს თხოვნა შეუწყნარებიათ და სამი მღვდელიც დაუნიშნავეთ, ხაშურს, განჯასა და ბაქოში“.

* *

ხმები ისმის, რომ ინსპექტორად ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ინიშნება კარგად ცნობილი თბილისის სემინარიის მასწავლებელი მღვდელ-მონაზონი მამა დიმიტრი.

* *

გუმინ, 7 მარტს, ნაშუადღისას, ერთ ქალელ გლეხს რკინის გზის ბარგის მატარებელმა ცალი ფეხი მოწყვიტა მუხლს ზემოთ. საცოდავი სვირის სადგურიდან დამჯდარიყო ვაგონზე და როცა ყვირილის სადგურზე შემოდიოდა, მაშინ გადმოშტარა, ზოგნი ამბობენ, გადმოავდესო და ლიანდაგზე დავარდნილა. ამ დროს ვაგონის გოგორას მოეწყვიტა ფეხი. საცოდავი თფილისში წაიყვანეს. ამბობდენ, რომ იგი ოჯახის ერთად ერთი მრჩენელი იყო.

* *

„კვალში“ ვკითხულობთ შემდეგ ამბავს: ამ ცოტა ხანში წერა-კითხვის საზოგადოება დაიწყებს ქართლის ცხოვრების მარამ დედოფლის ვარიანტის ბეჭდვას. აღრევე გაიმართება ხელის მოწერა, რომ დაბეჭდვა არ დაბრკოლდეს მატერიალური მხრით.

* *



გასულ წელს გარდაცვალებულ თავ. პორფილე იოსიფის ძეს ბარათაშვილის, თბილისის სათავად-აზნა- ურო სკოლისათვის უანდერძებია ოთხი ათასი მან... ამ ფულის სარგებელი ერთ ღარიბ შეგირდის აღზრ- დას უნდა მოხმარდეს. ერთი ამდენი განსვენებულმა თბილისის კადეტთა კორპუსსაც უანდერძა, ბარათანთ გვარიდან ერთ და ერთი ყმაწვილის აღსაზრ- დელათ. თუ კი ამ გვარეულობიდან არავინ იქნა კადეტთა კორპუსში, ფული ისევ იმ სასწავლებელში ვინმე ღარიბი ქართველი შეგირდის აღზრდას უნდა მოხმარდეს. სიამოვნებით აღვნიშნავთ განსვენებული თავადის კეთილ გულ-უხვობას. ამისთანა მაგალითები ძვირია ჩვენ ცხოვრებაში და იმის მომასწავებელია, რომ ჩვენშიაც იღვიძებს გრძნობა ნათელი-მედისა- გან დაჩაგრულთადმი წრფელი სიყვარული და საქ- მითაც ცხადი ნაყოფი მოაქვს.

* * *

წერა-კითხვის საზოგადოება მართავს სოფ. გო- მარეთს სამრევლო სკოლას. ეს იქნება პირველი სა- მრევლო სკოლა ამ საზოგადოებისაგან გამართული.

ქუჩნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი ამბები.

პარიზში 1900 წელს გაიმართება მსოფლიო გამოფენა. ფრანგები ძლიერ ემზადებიან ამ გამო- ფენისთვის და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ გამო- ფენა საუკეთესო გამოდგეს. სხვათა შორის ფრანგები ჰფიქრობენ, კარგი იქნება, რომ პარიზში საპატიმ- როები აღარ იყოს, რადგანაც მაზასისა და როკეტის საპატიმროების დანახვა სასიამოვნო არ არის არც თვით ფრანგებისა და არც უცხოელთათვისაო. დიად, 1900 წლამდე პარიზში საპატიმროები აღარ იქნება, მაგრამ არ იფიქროთ კი, რომ დამნაშავენი თავისუ- ფლად ისეირნებენ!

* * *

სასულიერო უწყებას განზრახვა აქვს ზოგიერთ ეპარქიაში გამართოს სასწავლებლები, რომლებშიაც საპედაგოგო კლასებიც იქნება მთავარ-დიაკვანთა

მოსამზადებლად. ამ სასწავლებელში სწავლა-დამოავ- რებული დიაკვნებად დანიშნავენ ეკლესიებში და ამათვე ჩაბარდებათ მასწავლებლობა საეკლესიო-სა- მრევლო სასწავლებლებისა.

* * *

„სოხუმი. აქ ს. შელიამ თავის მოკვლა განიზ- რახა. ამ აზრით, როდესაც იდროვა, სამჯერ დაიცა რევოლვერი; პირველად შუბლში, მაგრამ ასცილებია და თვალის ზემოთი ტყავი შეუგლეჯია ტყვიას, მე- ორედაც ასცილებია და მესამეჯერ კი პირში შეუყ- ვია რევოლვერი და ისე გაუსროლია. ტყვიას ცოტა ენა დაუზიანებია, ხახაში მოხვედრია და უკან კეთა გაუტანია და გასულა კიდევ. თავის მკვლელს როცა ჰკითხეს, რადა ჰქენიო, უპასუხა: ასე მსურდა, ავად ვიყავი და დიდხანს წვალებას ეს ვარჩიეო. ყმაწვილი ჯერ ცოცხალია და მორჩენის იმედსაც იძლევიან მკურნალნი“.

ეს უკანასკნელი ამბავი „ივერიიდან“ გადმოვ- ბეჭდეთ. საკვირველია სწორეთ ზოგიერთი ჩვენი გაზეთების ახირებული ამბები! თავი დავანებოთ, თუ გნებავთ იმისთანა მოჭორვილ ამბებს, როგორც მა- გალითებრ ცეცხლის წაკიდება ქიქოძის სახლისა და თავართქილაძის ცოლის დაწვა და სხვა ამისთანაებს, რომელნიც განზრახ შეთხზულნი არიან მკითხველების მოსატყუებლად. ნამდვილ მომხდარ ამბებსაც ისე ახირებულად და გაუგებლად აცხადებენ, რომ გიკ- ვირს კაცს და ვერ გაგივია; ნუ თუ რედაქტორები არ ჰყავს ამ გაზეთებს, რომ ამისთანა დაუჯერებელს ამბებს ბეჭდვენო! ამას წინეთ „ცნობის ფურცელში“ იყო დაბეჭდილი კიდევ, რომ ერთ ურიას კაცი და- ეცაო, დასჭრა, ყელი გამოლადრა და რევოლვერი ესროლა და ტყვია შიდ გულში გაჩერდაო. ბოლოს ერთი მოგზაური წააწყდა ამ კაცს გზაში დაგდებ- ბულს და რომ გამოკითხა მას, მან უთხრა, რომ ამა და ამ კაცმა დამჭრა და რევოლვერი მესროლიაო. ეს დაჭრილი შინ მოიყვანეს და მერე გარდაიცვალაო. შეიძლება კაცს ყელი გამოლადრონ, გულში ტყვია მოახვედრონ, გულში გაუჩერდეს და კიდევ ილაპა- რაკოს ამგვარათ დაჭრილმა?!

აიღეთ თუ გინდ ეს უკანასკნელი ამბავი. კაცმა პირში დაიცა რევოლვერიო, ტყვიამ კეთა ააგლიჯაო და ექიმები მორჩენის იმედს იძლევიანო!! მოდით და